

# სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების პროფესიული განათლება

## ინკლუზიური პროფესიული განათლება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სისტემაში ინკლუზიური განათლების დანერგვა, ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მხარდაჭერით 2013 წლიდან დაიწყო. შედეგად, ფორმალური პროფესიული განათლება მეტად ხელმისაწვდომი გახდა მრავალფეროვანი საჭიროებებისა და შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

ამჟამად, ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდაჭერას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველო უზრუნველყოფს ქვეპროგრამის „ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურზე“ ფარგლებში.

პროფესიული განათლება ერთნაირად ხელმისაწვდომია როგორც თბილისის, ასევე რეგიონების სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ფორმალურ პროფესიულ განათლებაში ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის დამადასტურებელი საბუთის ფლობა წარმოადგენს (საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, 2007 წ. მუხლი 7).

პროფესიულ განათლებაში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლების ხელშეწყობად, გათვალისწინებულია დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა - თითოეული სტუდენტისთვის განსაზღვრულ სტანდარტულ ვაუჩერზე დამატებული 1000 ლარი კვარტალში. აღნიშნული ფინანსური მხარდაჭერის გამოყენება პროფესიულ სასწავლებლებში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე კონკრეტული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ხდება.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩარიცხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, პროფესიული ტესტირების ალტერნატიული მიდგომის საშუალებით ხორციელდება, რაც აპლიკანტის საჭიროებებზე მორგებულ პირობებში, მის მიერ შერჩეული პროფესიის/პროფესიების პრაქტიკულ მოსინჯვას გულისხმობს საუკეთესო პროფესიული არჩევანის ხელშეწყობად.

პროფესიულ განათლებაში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის, მათი ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით სხვადასხვა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა ხდება. აღნიშნული სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი ხელშეწყობებით: სასწავლო სტრატეგიების და აქტივობების მორგება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, ასისტენტის, უესტური ენის თარჯიმნის, მობილობისა და სივრცეში ორიენტაციის სპეციალისტის მხარდაჭერა, აუდიო სახელმძღვანელოებით და ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა და სხვა ხელშეწყობები.

## პროფესიულ ტესტირებაზე დარეგისტრირება<sup>1</sup>

- პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია პროფესიულ განათლებაში მიღების მიზნით, წელიწადში ორჯერ, გაზაფხულზე და შემოდგომაზე ხორციელდება. რეგისტრაციის ზუსტი თარიღების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება მედიის საშუალებით და პროფესიული განათლების სპეციალური ვებ. გვერდით - [vet.ge](http://vet.ge)

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების პროფესიული ტესტირების პროცედურა რეგულირდება დებულებით პროფესიული ტესტირების შესახებ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №152/6 ბრძანება „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“, 2013 წლის 27 სექტემბერი).

- აღნიშნულ დებულების მიხედვით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი შემდეგნაირად განისაზღვრება:

„სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი არის პირი, რომელსაც აქვს ინტელექტუალური/გონებრივი განვითარების შეფერხება ან/და სენსორული (სმენისა და მხედველობის) დარღვევა ან/და ქცევითი და ემოციური აშლილობა ან/და ფიზიკური განვითარების შეფერხება და ან შეზღუდვა“.

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაცია შესაძლებელია როგორც საგანმანათლებლო რესურს ცენტრებში და პროფესიულ სასწავლებლებში სადაც სარეგისტრაციო ცენტრები იქმნება, ასევე სახლიდან გაუსვლელად, ონლაინ რეგისტრაციის საშუალებით ვებ გვერდიდან - [vet.ge](http://vet.ge)

---

<sup>1</sup> დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია აღწერს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველად საფეხურზე ჩარიცხვის პროცედურებს

- სარეგისტრაციო ცენტრში თავად რეგისტრატორი ავსებს შესაბამის ფორმას აპლიკანტისგან/მეურვისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. აუცილებელია, რომ რეგისტრატორს ეცნობოს აპლიკანტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შესახებ, რათა მან შესაბამისი ველი მონიშნოს სარეგისტრაციო ფორმაში.

- ონლაინ რეგისტრაციის ფორმაში ყველა იმ ველის შევსება რაც სავალდებულოა სხვა აპლიკანტებთან მიმართებაში, უნდა შეივსოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის შემთხვევაშიც. ამასთანავე, რეგისტრაციის პროცედურისთვის განსაზღვრული ყველა წესი, თანაბრად ვრცელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აპლიკანტებზე იმ დამატებითი ასპექტების გათვალისწინებით, რომლებიც ქვემოთ არის წარმოდგენილი:

- 1) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აპლიკანტის შემთხვევაში, აუცილებლად უნდა მონიშნოს სარეგისტრაციო გრაფაში მოცემული ველი „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი“
- 2) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს ერთი პროფესიული მიმართულების ფარგლებში მაქსიმუმ 3 საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევა შეუძლია; „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის“ ველის მონიშვნის შემდეგ, პროგრამა ავტომატურად 3-ზე მეტი საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევის შესაძლებლობას არ იძლევა. რეკომენდებულია, ამ შესაძლებლობის გამოყენება და აპლიკანტის ინტერესების ფარგლებში, ერთზე მეტი საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევა. სასურველია, აპლიკანტმა შერჩეული პროფესიული პროგრამები პრიორიტეტული თანმიმდევრობის მიხედვით დაარეგისტრიროს.
- 3) გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთ საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლოა სწავლის მეტი მსურველი იყოს დარეგისტრირებული, ვიდრე პროგრამაზე ჩარიცხვის შესაძლებლობაა. ყველა პროფესიული სასწავლებელი ცალკეული პროგრამის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის გარკვეული რაოდენობის ადგილს (კვოტას) გამოყოფს (განსაზღვრული საერთო რაოდენობის მინიმუმ 10%). იმ შემთხვევაში, თუ ერთ რომელიმე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დარეგისტრირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში

განსაზღვრულ კვოტას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისას, აპლიკანტის რეგისტრაციის დროის (თვე, რიცხვი, საათი, ნუთი, წამი) გათვალისწინება ხდება ანუ, პრიორიტეტი უფრო ადრე დარეგისტრირებული აპლიკანტს ენიჭება.

- 4) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებს, სხვა აპლიკანტების მსგავსად, შეუძლიათ დარეგისტრირდნენ ნებისმიერ სასურველ პროფესიულ სასწავლებელში/სასწავლებლებში; ამასთანავე, აპლიკანტს აქვს უფლება, ერთი და იგივე პროფესიული პროგრამა სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებელშიც მონიშნოს, რაც აპლიკანტს სასურველი პროფესიის/პროფესიების სხვადასხვა პროფესიული სასწავლებლის გარემოში მოსინჯვის და მისთვის ყველაზე შესაფერისი საგანმანათლებლო გარემოს შერჩევის შესაძლებლობას აძლევს.

გასათვალისწინებელია, რომ აპლიკანტის პროფესიული ტესტირება ყველა იმ პროფესიულ სასწავლებელში განხორციელდება, რომელიც მან რეგისტრაციის დროს მონიშნა და რომელშიც წინამდებარე დოკუმენტის მე-5 პუნქტში ჩამოთვლილი საბუთები წარადგინა განსაზღვრულ ვადებში.

იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი, რეგისტრაციისას შერჩეულ რომელიმე პროფესიულ სასწავლებელში არ მიიტანს მე-5 პუნქტში ჩამოთვლილ დოკუმენტაციას განსაზღვრულ ვადებში, მისი პროფესიული ტესტირება აღარ დაიგეგმება აღნიშნულ სასწავლებელში და მხოლოდ იმ პროფესიულ სასწავლებლებში ჩატარდება, რომლებშიც ის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას მიიტანს განსაზღვრულ ვადებში.

- 5) რეგისტრაციის გავლის შემდეგ, აპლიკანტს *3 სამუშაო დღის მანძილზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს* ექსპერტთა გუნდის წევრი დაუკავშირდება და შეუთანხმებს შეხვედრას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება/დადასტურებისა და პროფესიული ტესტირების ალტერნატიული მიდგომით გავლის საჭიროების განსაზღვრის მიზნით.

სწორედ ამიტომ, *მნიშვნელოვანია, რომ რეგისტრაციისას აპლიკანტმა მიუთითოს ის საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი) რომელიც ფუნქციონირებს და ჩართულია ქსელში; ასევე, დამატებით მეორე ტელეფონის ნომერიც, რომელზეც მასთან დაკავშირება იქნება შესაძლებელი. ვარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ აპლიკანტმა/მეურვემ მიუთითოს ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი (მისამართი რომელზეც ცხოვრობს).*

გასათვალისწინებელია, რომ გარკვეული სპეციალური საჭიროების ან/და შეზღუდული შესაძლებლობის არსებობის მიუხედავად, შესაძლებელია ექსპერტთა გუნდმა აპლიკანტს

პროფესიული ტესტირების ალტერნატიული მიდგომით გავლის რეკომენდაცია არ გაუწიოს რადგან მიიჩნის, რომ აპლიკანტს სტანდარტული პროფესიული ტესტირების გავლის შესაძლებლობა გააჩნია. გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ სტანდარტული ტესტირების ფარგლებში უზრუნველყოფილია საგამოცდო გარემოს ხელმისაწვდომობა ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირებისთვის, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, საგამოცდო ტექსტის შრიფტის გაზრდა და საგამოცდო დროის გაორმაგება (ექსპერტთა გუნდის რეკომენდაციით).

**ექსპერტთა გუნდის შეფასების დასკვნა აპლიკანტმა/მეურვემ რეგისტრაციის გავლიდან 4 სამუშაო დღის ვადაში იმ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში/ებში უნდა წარადგინოს, სადაც სწავლა და პროფესიული ტესტირების გავლა სურს:**

- (ა) ექსპერტთა გუნდის დასკვნა, რომლითაც დასტურდება აპლიკანტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება და პროფესიული ტესტირების ალტერნატიული მიდგომით გავლის აუცილებლობა დამონშებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტთა გუნდის წევრების ხელმოწერით;
- (ბ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლითაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობდა ცალკეულ კლასში/სემესტრში ან საფეხურის ბოლო კლასში, დამონშებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სამუშაო ჯგუფის ან/და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ხელმოწერებით;
- გ) სენსორული (სმენის და მხედველობის) დარღვევის შემთხვევაში:
  - გ .ა) აუდიოგრამა (სმენის დარღვევის შემთხვევაში);
  - გ.ბ) ოფთალმოლოგის მიერ გაცემული ცნობა (მხედველობის დარღვევის შემთხვევაში);
- დ) შესაბამისი სპეციალისტის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა, ქცევითი და ემოციური აშლილობის არსებობის თაობაზე;
- ე) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).


*ამრიგად, თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი რამდენიმე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარეგისტრირდება და სურს ყველა მათგანში გაიაროს პროფესიული ტესტირება, მან ზემოთ ჩამოთვლილი*

*დოკუმენტაცია/დოკუმენტაციის ასლები, განსაზღვრულ ვადებში ყველა შერჩეულ პროფესიულ დანესებულებაში უნდა წარადგინოს.*

რაც შეეხება საბაზისო განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს (9 კლასის ატესტატს), აპლიკანტს მისი წარდგენა პროფესიულ საგანმანათლებლო დანესებულებაში მხოლოდ პროფესიული ტესტირების გავლის შემდეგ მოეთხოვება.

6) თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის პროფესიული ტესტირების ალტერნატიული ფორმატის გამოცდა იმ პროფესიულ სასწავლებელში/სასწავლებლებში განხორციელდება, რომელშიც აპლიკანტი დარეგისტრირდა და რეგისტრაციის შემდგომ 4 სამუშაო დღეში მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია წარადგინა.

### **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიული ტესტირების პროცედურა რეგისტრაციიდან-ჩარიცხვამდე**



სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აპლიკანტების რეგისტრაციასა და პროფესიულ ტესტირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია როგორც პროფესიულ

საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელ ხაზზე და შემდეგ ნომერზე:

**2 200220 (შიდა 1432)**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველო

პროგრამა:

„ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურზე“